№ 212 პარასკევი, 25 სექტემბერი 1909 წ. № 212

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხნვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —

— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ტფილისის ქალაქის გამგეობა აუწყებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის

## ალექსანდრე სტეფანის ძის მატინოვის

ცხედრის გამოსვენება (ბათუმიდან მოსვენების შემდეგ) ტფილისის სადგურიდან მოხდება კვირას, 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა განსვენებულისა მოხდება იმავე დღეს ვანქის სომეხ-გრიგორიანთა ტაძრის გალავანში. ვისაც სურს გვირგვინით შეამკოს კუბო, უნდა გვირგვინი შაბათ საღამომდე მიიტანოს ქალაქის გამგეობაში, ხოლო კვირას დილით—სადგურზე. (2—6.—1)

27 სექტემბერს, ქალაქ თელავში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

## პოლკ. ესტატე სულხანის ძის ვახვახიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა კნ. ბარბარე მიხეილის ასული ვახვახიშვილისა შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—465—1)

ეფემია სოლომონის ასული ასათიანისა, მაგდალინა სოლომონის ასული გიორგაძისა თავიანთ ქმარ-შვილებით და ზაქარია გიორგის ძე ფორაკაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—თავიანთ ძმისა და მეორე ბიძის

## ალექსი სოლომონის ძის ბურდულისას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება ტფილისის საავადმყოფოს სამლოცველოში 25 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე, ხოლო გასვენება იქიდანვე შაბათს, 26-ს, დილის 9½ საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (2—467—1)

წარმოდგენა № 1. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

—◀ სეზონის 1909—10 დასაწყისი ▶—

კვირას, 27 სექტემბერს, 1909 წელს ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ ნ. კოლხიდელის სადებიუტოდ და შ. შარაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. ველევანოვი, ს. გვარამე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, მ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, შ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი. ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „მედეია“, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ექიმი აშირბარჯიანი“.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ვისაც სურს ჩაეწეროს ქართულ დასში თანამშრომლად (სტატისტად), შეუძლიან მიმართოს ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში რეჟ. თანაშემწეს ვ. ურუშაძეს. (4—2)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 26 ენკენისთვეს, 1909 წ.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

## „ცხოვრების გარეშე“

პიესა 4 მოქმედებად პროტოპოპოვისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ორშაბათს საღამოს, 5 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა. „პეპო“ სუნდუკიანცისა და სხვ.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—2) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

**ექიმი** ჩარექოვი
ქ. ქუთაისში.
სპეციალისტი,
იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესაზვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—15)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი
არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., ხისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—7)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი
ქუთაისში
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნადი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის ... ძღლების (ჭაჭების) სატკივარი, ... მხოლოდ საღამოთი 5—7: კვირაობით ფირალოვის ... ტფილისის ქ., სა- (70—კვ.—70)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). 0—14)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** ვასილ წერეთელი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—13)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე
დაბა ყვირილაში
მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—25)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 166

**ექიმი** კაკიტელაშვილი
ქუთაისში
9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—6.—73)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—256)

ქუთაისში
კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—...)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვი
ელექტრო-თერაპევტ... კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინ... ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ვე...იამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—15)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისსა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—21)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე
აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—15)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი
ტფილისის
## კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდმანოვა—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ჭ. პოპოვა—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—164)

ნაფიცი ვექილი
## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე
ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს). (25—6.—16)

## სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—14)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

1 ოქტომბრიდან გამოვა დღე გამოშვებით

## „სახალხო გაზეთი“

მცირე ფორმატისა. ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ. რედაქციის ადრესი: სტამბა „გუტენბერგი“, ოლგისა და სლეპცოვის ქუჩის კუთხე.

რედაქტორი და გამომცემელი

(...—1) **დარია ხრამელაშვილი.**

## სამუსიკო სკოლა
ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

...ამით აცხადებს, რომ უკვე არსებულ ფორტეპიანოს, სკრიპკის და მუსიკის ...ის კლასსებს გარდა, პირველ ოქტომბრიდან იხსნება კიდევ შემდეგი სპეციალური კლასსები და მასწავლებლებად მოწვეულნი არიან: სკრიპკისა—ვენის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული დ. ბ. გროსსმანი, ვიოლონჩელისა—პარიზის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული ბ. ი. დრბოგლავი და სიმღერა (solo)—ოპერის არტისტი ნ. დ. კოვალენსკი. ფასი სკრიპკაზე და ვიოლონჩელოზე სწავლისა 60 მ. წელიწადში ხოლო სიმღერისა—75 მანეთი.

ამასთან სკოლის გამგეობას აზრადა აქვს, ფილარმონიულ საზოგადოების ხორო შეავსოს ახალ წევრებითა და ავარჯიშოს იგი ეკკლესიებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის აუწყებს ამას გამგეობა როგორც ხოროს ძველ მომღერალთ, ისე იმათ, ვისაც სურვილი აქვს ახლად ჩაეწეროს ზემოხსენებულ ხოროში. ხმების გასინჯვა, ძველი მომღერლების გამოცხადება და ახლად გახსნილ კლასსებში მოწაფეთა მიღება დანიშნულია სკოლის კანცელარიაში, ყოველ დღე ნასადილევს 5—8 საათზე; საპიორის ქუჩა, საზ. ყდენტისა, N 18. (3—2)

## ხალხური ლექსები და სიმღერები

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ.

იყიდება ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (3—უ.—3)

გამოვიდა და იყიდება

## „ქება-ქებათა“

სოლომონისი, კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

## „სულამიტ“,

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—10)

იყიდება ყველგან ახალი

## ◀ჩანგი▶

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“ Гачечиладзе. (30—6.—23)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფილიანდიაზე იერიში იერიშზე მიაქვთ რუსეთის შავრაზმელებს და ბიუროკრატიას. დიდი რამ არ არის საჭირო, რომ შავრაზმელობამ ერთი განგაში ასტეხოს და საზოგადოებას ფინლიანდიის დასაპყრობად მოუწოდოს. გერცენშტეინის პროცესიც ხელზე დაისვიეს. წარმოიდგინეთ, ცნობილმა მენშიკოვმა ფინლიანდიის სასამართლო საშუალო საუკუნოების დროის სასამართლოს შეადარა. მენშიკოვმა თავის ცხვირ წინ ვერ დაინახა, რა ღირებულებისაა სასამართლო და ფინლიანდიის სასამართლო მიწასთან გაასწორა. საზოგადოდ დღე არ გავა, რომ შავრაზმულმა გაზეთებმა ფინლიანდიას არაფერი დაუწუნონ. ყველაზე გასაოცებელი ის არის, რომ ფინლიანდიას, ამ მართლა კულტურულ კუთხეს, უკან ჩამორჩენას უკიჟინებენ. არხაიული სასამართლო აქვსთო და სხვა. როგორ შესტკივათ გული ფინლიანდიაზე! თავიანთ თავსა და თავიანთ სასამართლოსაც კი ივიწყებენ!

„ნოვოე ვრემიას“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია რეინბოტის წერილი. ავტორი ამბობს: „ფინლიანდიის სასამართლომ ხელი აილო ყოველსავე მართლმსაჯულებაზე. პოლიტიკით გატაცებულნი, დაფარულის მტრულის ღიმილით დასცინიან რუსის ეროვნულ გრძნობასაო. ამის შემდეგ რეინბოტი ათას ჰორსა სჩმახავს ფინლიანდიელების წინაამდეგ. არ ივიწყებს სვეაბორგის აჯანყებასაც, რომელიც 1906 წ. მოხდა. იგი სწერს:

„სვეაბორგის მეციხოვნე ჯარში აგიტაცია გასწიეს რუსისა და ფინლიანდიის რევოლიუციონერებმა. ფინლიანდიის წითელი გვარდიის ხელმძღვანელობით ჯარმა აჯანყების დროშა ააფრიალა. რა მწვავე გრძნობა აღეძრა ყველა რუსს, როდესაც გაიგო, რომ აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებნი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი—ფინლიანდიელნი—ფინლიანდიის სასამართლოში, ხოლო რუსები—სამხედრო სასამართლოში საომარ წესების მიხედვით. როგორ ეოცა ყველას, როდესაც გაიგო, რომ აჯანყების მთავარ ხელმძღვანელთ ფინლიანდიის სასამართლომ ორი-სამი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა, ხოლო რუსეთის ქვეშევრდომთ სამხედრო სასამართლომ დახვრეტა-ჩამოხრჩობა და კატორგა.

ჰხედავთ, როგორ გული შესტკივა ავტორს რუსის რევოლიუციონერებისთვის!.. თუ იმასა სწუხს, რომ ფინლიანდიელებიც ისევე არ დახვრიტეს, როგორც რუსები! ამ მხრივ ფინლიანდიის სასამართლო მართლა „ჩამორჩენილად“ უნდა ჩაითვალოს.

ფინლიანდიის წინაამდეგ კამპანიაში „ნოვოე ვრემია“ წინამძღოლობს შავრაზმელებს. ვინ იცის, იქნება კიდეც მიიყვანონ საქმე გამარჯვებამდე და სრულებით წაართვან ფინლიანდიას ის, რაცა აქვს. დიდი ამბები ხდება ფინლიანდიაში. სენატის სამეურნეო დეპარტამენტის წევრები სამსახურს თავს ანებებენ. სენატში სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი შედიოდნენ. მაგრამ მთავრობის მოთხოვნილებებს ვერ შეურიგდნენ და უფრო ოპოზიციონერები წავიდნენ. სენატში ბოლომდე იყვნენ ძველი-ფინების პარტიის წარმომადგენელნი. ესენი ყველაზე ზომიერნი არიან. მაგრამ იმათაც ვერ მოითმინეს და ვერ აიტანეს ეხლანდელი იერიში. როგორც ვიცით, მთავრობამ ფინლიანდიას მოსთხოვა 20 მილიონი მარკა სამხედრო ხარჯად. გაზეთი „რეჩი“ ამის შესახებ სწერს:

ეს დავა არ ახალია ძველია, მაგრამ არასოდეს ისე სასტიკად და გადაჭრით არ მოუთხოვნიათ, როგორც ეხლა. სრულებით არ უწევენ ანგარიშს ფინლიანდიის კონსტიტუციას. ფინლიანდიას თავისი წესდება აქვს ჯარში სამსახურის შესახებ, 1878 წ. სეიმის მიერ დამტკიცებული. 1901 წ. მთავრობამ ეს წესდება შესცვალა ახალ წესდებით. 1905 წელს მანიფესტით გააუქმეს ეს ახალი წესდება და ისევ 1878 წლისა შემოიღეს. ფინლიანდიას თითონ არ უთქვამს უარი ჯარის შენახვაზე. ჯარის მაგიერ სთხოვენ 20 მილიონ მარკის გაღებას. სენატი მზად იყო უკიდურესობამდე დაეთმო. სენატორებს ელტსა და ლანილსონს უნდოდათ, რომ ეს მოთხოვნა დროებით ყოფილიყო—გენერალ-გუბერნატორიც ამავე აზრისა იყო, მაგრამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა რუსეთის „პრესტიჟის დასაცველად“ არაფერი არ დაუთმო და მოითხოვა დაუყოვნებლივ ასრულებულიყო ბრძანება. სენატის წევრები გადადგნენ, მაგრამ გენერალ-გუბერნატორის ბეკმანის ბრძანებით ორ კვირას მაინც უნდა დარჩნენ. დიდი ამბები მოხდება. რას იზამს ფინლიანდია, არ ვიცით. შავრაზმელობა კი მუდამ დღე ასისინებს მთავრობას, აქეზებს და იწვევს სამოქმედოდ.

„რეჩი“ უკმაყოფილოა მთავრობის ასეთის ჯიუტობით და იწვევს საზოგადოებას ხმა აღიმაღლოს ერთი მუჭა ფინლიანდიელთა დასაცველად. ვნახოთ, სახ. სათათბირო რაღას იტყვის. „რეჩს“ იმედი აქვს, რომ მესამე სათათბიროც-კი ვერ მოითმენს ყველა იმას, რაც ფინლიანდიას დაატეხესო. საეჭვოა, რომ „რეჩის“ ოპტიმიზმი გამართლდეს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** გუშინ, 23 სექტემბერს, დეპუტატთა პალატაში ცხარე კამათი გაიმართა საბიუჯეტო საკითხების შესახებ. კამათს დაესწრო პრემიერ-მინისტრი ასკვიტი. ასკვიტმა საჩქაროდ მიატოვა დეპუტატთა პალატა და ბალმორალში წავიდა. ამ ჟამად მეფე ბალმორალში სცხოვრობს. გამოირკვა, რომ ასკვიტი მეფეს საჩქაროდ ტელეფონით გაუწვევია. ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას აწერენ. საქმე იმაშია, რომ მეფე ასკვიტს გრაფ კოუდორის შემდეგ მიიღებს. კოუდორი ლორდთა პალატის ოპოზიის ერთი გავლენიანი წევრთაგანია. ჰფიქრობენ, მეფე ლორდთა პალატაზე გავლენას იქონიებს, რომ საბიუჯეტო საკითხები უკრიზისოდ დაბოლოვდება.

**ხარბინი.** გირინიდან დეპეშით იტყობინებიან: მოჰკლეს ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის საკომერციო სააგენტოს უფროსი ლევანდოვსკი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არისო.

**მადრიდი.** „კორრეო“ იუწყება: გუშინ, 23 სექტემბერს მოხდა საზოგადო მოღვაწეების კრება. კრებამ დაადგინა, იმ შემთხვევაში თუ მაროკოს და ესპანიის ომში შერიფის ჯარმა მონაწილეობა მიიღო, საჭიროება მოითხოვს მაროკოში 150,000 სალდათი გაიგზავნოს, ამას გარდა მაროკოში 50,000 სალდათისაგან სარეზერვო ჯარი უნდა შესდგესო.

**ფრიდრიხსჰაფენი.** ნაშუადღევის 2 საათზე მიწაზე დაეშვა ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე“. ჰაეროპლანში ისხდნენ პრინცი გენრიხი, ჰესენის დიდი ჰერცოგი, ცეპელინი და ინჟენერ ბიურსი.

ჩრდილოეთის პოლიუსის ექსპედიციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, სანამ ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გაემგზავრებოდეს, საჭიროა წინასწარი ექსპედიცია გაიგზავნოს ადგილების შესასწავლადო. ეს წინასწარი ექსპედიცია 1910 წლის ზაფხულში კუნძულ შპიცბერგენისაკენ გაემგზავრება. ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ ცეპელინი ჰაეროპლანით გაფრინდება. 1911 წლის დასაწყიში გერმანიის ერთ-ერთ ნავთ-სადგურში სცდიან, შეიძლება ცეპელინის ჰაეროპლანით გაფრენა თუ არა.

**რუსეთი**

**ჩერნიგოვი.** სოფელ პუსტოგოროვაში გადაიწვა 37 სახლი. ზარალი 30,000 მანეთს უდრის.

**კალუგა** გაიფიცა ისაევის სამა-

ნუფაქტურო ქარხნის 1000 მუშა. წესიერება არავის დაურღვევია.

**ვარშავა.** სახელმწიფო საბჭოს წევრებად აირჩიეს: ბარონი კრონენბერგი, შებეკო, ოსტროვსკი, ველევევსკი, სტეფანე გოლდევსკი, გრაფი სიგიზმუნდ კელეპოვსკი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან შემდეგი ცნობები მიიღო: ხარბინში მუკდენიდან ჩამოვიდა გერმანიის კონსული. გერმანიის კონსულთან მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთის კონსულს. რუსეთის კონსულმა გერმანიის კონსულს პროტესტი განუცხადა ამხანაგობა „ხარბინის“ გერმანელი წევრების მოქმედების შესახებ. ამის გამო 23 სექტემბერ გერმანიის კონსულმა რუსეთისასს წერილი მისწერა, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ამხანაგობა „ხარბინის“ წევრებს უფლება არა აქვთ გერმანიის მფარველობით ისარგებლონ, ამიტომ ჩემის ბრძანებით ქარხნიდან გერმანიის დროშა ჩამოხსნესო. რუსეთის მთავრობამ ამხანაგობა „ხარბინის“ გერმანელი წევრები სამართალში მისცა. მათი საქმე გადაეცა გერმანიის კონსულს.

ოლქის სასამართლომ 25 მანეთით დააჯარიმა გენერალ-მაიორ რუდენკოს ცოლი. ჰბრალდებოდა პეტერბურგის სასამართლო პალატის თავმჯდომარის დეპეშით შეურაცყოფა.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია „ვოსხოდის“ რედაქტორის ნაფიც-ვექილის სირკინის საქმე. „ვოსხოდში“ დაბეჭდილი იყო წერილი ბელოსტოკის აწიოკების შესახებ. ამ წერილში ადმინისტრაციამ ჯარის შეურაცყოფა და ყალბი ცნობების გავრცელება დაინახა. სასამართლომ სირკინი 100 მანეთით დააჯარიმა. იმ შემთხვევაში თუ სირკინი ვერ შესძლებს ჯარიმის გადახდას, ერთი თვით სატუსაღოში უნდა ჩაჯდეს.

**მოსკოვი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია მოჟაისკის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ყუბანის ყაზახთა ჯარის ხორუნჟი გრაფი უვაროვი.

**ნოვოჩერკასკი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად ნამყოფი დონეცკი.

**მინსკი.** პოლიციამ მოჰკლა ცნობილი ყაჩაღი იაკობ უშაკოვი. უშაკოვმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. უშაკოვს თავის ბრბო ჰყავდა. ბრბოს წევრები მიიმალნენ.

**ჩერნიგოვი.** სოფელ კორონეცკში გადაიწვა 86 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ზარალი 137,000 მანეთს უდრის.

**იალტა.** ჩამოვიდა ოსმალეთის განსაკუთრებული საელჩო. საელჩოს მეთაურობს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა. საელჩოს ნავთსადგურში დაუხვდნენ ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი დუმბაძე და პოლკოვნიკი ხრისტიანინოვი. ნავთსადგურიდან საელჩო სასახლის ავტომობილებით კასანდრაში წავიდა. საელჩო მოათავსეს საუფლისწულო სახლში.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 34, გარდაიცვალა 15, ავად არის 358 კაცი.

**გროდნო.** ავად გახდა 4 კაცი.

**ნიკოლაევსკი.** 8—21 სექტემბრამდის მაზრაში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 10 კაცი.

# სადღეისო

## სეზონი დაიწყება!..

ფართოდ გაიღება თეატრის მძიმე კარები, გამოფხიზლებული და წელში გამართული კაპელდინერები ჩვეულებრივად წინ გადაელობებიან მუქთა ხორობას მიჩვეულ მაყურებელს, ელექტრონის ნაზი სინათლე კრძალვით მოეფინება დიდ დარბაზს, საზოგადოება მძიმედ, დარბაისლურად დაეშვება სოსანისფერ ხავერდ გადაკრულ სავარძლებზე, აიხდება ფარდა და...

სეზონიც დაიწყება!...

სეზონის დასაწყისს თან მოჰყვება ახალ მსახიობების ავ-კარგიანობის აღნუსხვა, რეცენზენტების დავა, ჩვეულებრივი სათეატრო ჭორები, კულისებში შეთხზული ანეკდოტები და მოწონება ან გაკიცხვა რეპერტუარისა...

ოჰ, ღმერთო ჩემო, რეპერტუარი, რეპერტუარი!...

ჩვენი საზოგადოება თეატრის მოყვარულია. და აბა, მიბრძანეთ, განა დიდი დანაშაული არ იქნებოდა ძველი, ბრწყინვალე ტრადიციების ღალატი?! ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი დანაშაული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ თეატრისადმი ასეთს სიყვარულს თავისუფლად შეუძლიან ჩვენი ცხოვრების სიცარიელე შეავსოს და ერთი წუთით უკუ აქციოს მოქალაქის გონებიდან მძიმე ფიქრები და გაცრუებული იმედები...

ზოგიერთი პოლიტიკოსი, — იქვე, თეატრთან რომ პოლიტიკოსია—ჩვენს დაკნინება - უთავბოლობაში თეატრისათვის მეტად კარგ ამინდს ჰხედავს: საზოგადოდ უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ცხოვრებაში სხვა და სხვა გზის ძებნით დაქანცული და დასნეულებული საზოგადოება მეტად გულუხვად უმასპინძლდება ყოველ გვარ გასართობს და წარმოდგენას...

და თეატრის კასას ხომ მეტიც არა უნდა-რა, გამარჯვებას დღესასწაულობს!..

გამარჯვებაზე დიდმარხვის შემდეგ ვიბაასოთ,—სეზონი მაშინ სრულდება ხოლმე საერთოდ, დღეს დღეობით კი, ჩვენის აზრით, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, რეჟისორი, თვით უჩინარი სცენის მუშაც კი ღრმად ჩაფიქრებულია და ყველაფერს ითვალისწინებს უეჭველად: მზად არის ყველაფერი? კარგად არის შედგენილი რეპერტუარი? დაიმსახურებენ თუ არა საზოგადოების თანაგრძნობას ჩვენი თეატრის ახალი სულის ჩამდგმელნი? აუღებს თუ არა ალღოს ახალი რეჟისორი საიდუმლოებით მოცულ გემოვნებას მაყურებლისას? შესაფერია თუ რა დეკორაციები?

როგორც ჰხედავთ გამოსაცნობი და სავარაუდო თავსაყრელია. ადამიანის გემოვნება, მისი მოთხოვნილება ხომ მიუწდომელია?.. დასაკმაყოფილებელი საშუალება-კი მცირეა, ძლიერ მცირე!..

ჩვეულებრივ ინტელიგენტურ შაბლონს რომ გავყვეთ, ღრმად უნდა გვრწამდეს, რომ ოდნავ კულტუროსანსა და გრძნობა ფაქიზს მაყურებელს ტლანქი, იაფ-ფასიანი ეფექტი, მყვირალა „აქტიორული“ პოზა მხოლოდ ზიზღს ძოჰგვრის. მაგრამ ეს ხომ შაბლონური მსჯელობაა!?. ნამდვილად კი ისეთი სეირი-გასართობნი, როგორიცაა „სახელგანთქმული ჭიდაობა“, რომელიც „homo sapiens“-ის ღონიერსა და კარგ ჯიშს ბუღად აქცევს, ქალს კი ქალურს სინაზეს უკარგავს, ასეთი სეირი განუსაზღვრელ აღტაცებას იწვევს საზოგადოების გარეგნობით კულტუროსანსა და ფორმალურად განათლებულს წევრებში. ძნელია მოცანა. მაყურებელი თავმოგლეჯილი გაურბის სცენის კლასიკებს-ბუმბერაზებს და ავადმყოფურის ღიმილით უცქერის ჩვენის დროის ნევრასტენიულ რეპერტუარის პიესას...

მაგრამ დახე თავის შერცხვენას: არის ისეთი ტაროსიც, როცა ვერავითარის ხრიკით ვეღარ შეიტყუილებ მოქალაქეს თეატრში, რაც განუწყვეტლივ შარშან ხდებოდა ჩვენ თეატრში. სწორედ გაიფიცებიან და აღარ იწამებენ ფაქიზ მელპომენას, მაღალ ფარდიდან რომ ჩამოვიღოთ სიტყვა. ამ დროს თეატრის კასსა, თეატრის მესვეურნი მხოლოდ ზარალსა სთვლიან...

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ დასსა და ჩვენი თეატრის მესვეურთ ასცდებათ ასეთი მწარე ფიალა. მრავალი საბუთი გვიმტკიცებს ამ იმედს. სხვათა შორის შარშანდელმა გამოცდილებამ უნდა გამოაფხიზლოს, ვგონებ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა...

მართალია, ძნელი აღსანიშნავია მაყურებელთა ყველა მოთხოვნილება: მათემატიკურის ფორმულებით ახლო ვერ გაეკარები ამ მოთხოვნილებებს; მაგრამ ცოტა მეტი სიფხიზლე, ცოტაც უნარიანობა, ცოტაც—სიყვარული საქმისადმი, და უძლეველი დაიძლევა! თუ ეს ღირსებაც არ აქვთ, მაშ რაღას უდგანან სათავეში ამ საქმეს?

დასასრულ, იმედიანად უნდა ვუცქეროდეთ რეჟისორთა გამოცდილებას, რომელთაც უნდა ერთად მოათავსონ, შეარიგონ მრავალი მიმართულება სასცენო ხელოვნებაში და ძით ალღო აუღონ მაყურებელთ. ეჭვს გარეშეა, ყოველ ახალ სკოლას, მიმდინარეობას ხელოვნებაში სრული უფლება აქვს არსებობისა. მაგრამ თვითეული მათგანი ერთფეროვან, სულიერად მჭიდროდ შეკავშირებულ წრით საზრდოობს. ხელოვნების სკოლათა ასეთი ბუნებრივი დიფერენციაცია და ცალკე მიმართულების საკუთარი თეატრი მხოლოდ დიდ ცენტრებში არსებობს. ასეთი განსაზღვრა ყოვლად შეუძლებელია პროვინციაში, სადაც ნაკლები საზოგადოებაა: რამდენიმე თეატრი ვერ გაუძლებს სეზონს! ერთი სკოლის გამეფება კი ჩვენს სცენაზე სრულიად განდევნის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ვერა კმაყოფილდება არსებულ ხელოვნებით. ჭრელი რეპერტუარი—აი, ერთად-ერთი გამოსავალი ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან. დრამატიულმა საზოგადოებამ და რეჟისორმაც აუცილებლათ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება და რეპერტუარში სიმბოლიური პიესა რეალურს დრამას გვერდში ამოუყენონ.

მხოლოდ ერთში ვიჭვნეულობთ: შესძლებენ მსახიობები მაყურებელთა გატაცებას?! როდესაც ადამიანი თეატრში მხოლოდ იმიტომ შედის, რომ გულიდან იდეიური კაეშანი გადაიყაროს, მაშინ აღარავითარი აღმაფრენა მსახიობისა აღარ მოქმედებს მასზე, გულს ვერ აუჩუყებს თამაშით და თავისთან ერთად ვერ აკვნეს-აცინებს. სიმებ-დაწყვეტილ ქნარს თვით დახელოვნებული მემუსიკეც ვერ ამოაღებინებს ხმას!

შესძლებენ მსახიობნი მაყურებელთა გატაცებას?

სეზონი დაიწყება და ჩვენც დავინახავთ!..

**ძველი ნაცნობი.**

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**ქართული სკოლა.** კუკიის მცხოვრებთა ღალადმა გასჭრა და, როგორც გავიგეთ, ქალაქის სკოლების კომისიას განუზრახავს კუკიაში დააარსოს მეათე ქართული სკოლა.

**საქართველოს საექსარხოსოს რეფორმა.** „კასპი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდის სამეურნეო ნაწილმა სინოდს უკვე წარუდგინა საქართველოს საეგზარხოსოს რეორგანიზაციისთვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. სამეურნეო ნაწილის სიტყვით, სინოდს ამ ჟამად შეუძლიან ამ რეფორმის მოხდენა, ამისთვის ფულიც არის, ასე რომ საჭირო აღარ არის სახელმწიფო ხაზინის დახმარება“. როგორც ვიცით, სინოდს გადაწყვეტილი აქვს ექსარხოსის ადგილი მოსპოს და იმის ნაცვლად რამდენიმე ეპისკოპოსი დანიშნოს.

**ვადის გადადება.** ბელგიის უსახელო საზოგადოებამ თავისი გაიტანა და ნაძალადევში ელექტრონის გზის გაყვანის ვადა ორი წლით კიდევ გადაადებინა ქალაქს. გადაიდო აგრეთვე ავჭალის ქუჩაზე ელექტრონის ძალის შემოღების ვადა. ავჭალის ქუჩის რკინის გზა სულ უპატრონოდ არის მიტოვებული და ასევე იქნება ალბად შემდეგშიაც. ვაგონებს აგვიანებენ, ცხენები უვარგისია, ლიანდაგი გაფუჭებული და სხვა.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი.** „[illegible]“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს გუბერნატორებისათვის ცირკულიარი დაუგზავნია, სადაც ნათქვამია: სამინისტრო უყურადღებოდ დასტოვებს თავად-აზნაურთა საკრებულოების და კერძოდ თავად-აზნაურების შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ „ნედოიმკები“-ს გადახდევინება დროებით გადაიდოს. ამიტომ მინისტრი გუბერნატორებს ავალებს, ამისთანა შუამდგომლობებს ნუ მიიღებთ და სამინისტროში ნუ გამოგზავნითო.

**სააბონიმენტო ბილეთები.** აქამდე ტრამვაიზე ერთი საბონიმენტო ბილეთით სარგებლობა არავის შეეძლო, გარდა აბონიმენტის პატრონისა. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, უსახელო საზოგადოების დირექტორმა კონდუქტორებს აცნობა, რომ აბონიმენტის ბილეთით ყველას შეუძლიან სარგებლობა და თქვენ ხელს ნუ შეუშლითო.

**შავი ქვის მრეწველთა კრება.** როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, მთავრობას ნება დაურთავს ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში მოხდეს შორაპნის შავი ქვის მრეწველთა მე-12 კრება.

**ნიაღვარი ნუხაში.** ნიაღვარსა და წვიმას ნუხაშიაც დიდი ზარალი მიუყენებია. ბევრი სახლი დაუქცევია, ხიდები წაუღია, გზები გაუფუჭებია.

**მეორე კორპუსის უფროსი.** კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსად დაინიშნა გენ. მიშლაევსკი.

**ყაჩაღები.** როგორც „ზაკ.“ გადმოგვცემს, კახეთიდან მომავლის, გუბერნიის მარშლის მოადგილეს თავ. პ. თუმანიშვილის ეტლს ორხევის მახლობლად შვიდი შეიარაღებული თათარი შემოჰხვევია და ფული მოუთხოვნია. მაგრამ მერე, როცა უკითხავთ ვინაობა, ბოდიში მოუხდიათ და ფულის დაბრუნებაც განუზრახავთ, მაგრამ თავ. თუმანიშვილს აღარ გამოურთმევია.

**მოწაფეების ექსკურსია.** შაბათს, 26 სექტემბერს, დილის 9 საათზე—ქართული გიმნაზიის მეორე

# მთების ერთობა *)

ბარს შაეთვალა მთებისთვის
უცხო რამ ერთი ქართული,
მაშინ როს მთების ანდამი
ღრმა ფიქრში იყო გართული.
რასა ფიქრობდნენ, ვინ იცის,
ჰსურთ დაებრუნათ წართმული,
თუ ცაში ასასვლელადა
სურდათ გაებათ მავთული?!
ორმა გორაკამ ითავა
ამცნონ მთებს ნება ბარისა,
იმათ აუწყეს ყოველი
ქვეიდან დანაბარისა.
მთების შიკრიკებს გადასცეს
ახალი მცნება დიდია,
ორბსა და არწივს წერილი
გულ-მკერდზე გადუკიდია.
ბარს შაეთვალა მთებისთვის:
„მთაო, ერთობას სცვიდია,
ჩვენ კი ერთმანეთს შორისა
გავსდეთ ერთობის ხიდია;
უწყოდეთ ბედნიერ-ყოფა
ამ მოძღვრებაზე ჰკიდია;
ბარად სუსტსა და ძლიერსა
ხელი-ხელს ჩაუკიდია.
მგელი ვერ ჰბედავს მგლობასა,
ეხლა კრავივით მშვიდია.
ცხვარი სძოვს ბალახს უშიშრად,
სწამს ვერ უმტერებს ფლიდია
და კატას—თაგვების მტერსა—
ყელზე ეჟვანი ჰკიდია.
ერთობის გზაზე ვიაროთ,
კერძოობის გზა ფინთია“.
შიკრიკთა ფრთები გალესეს,
გაეკრნენ მკერდსა ცისასა,
ხევები, მთები გადავლეს,
ნაპრალებს აჰყვნენ კლდისასა.
ხარბადა ჰყნოსვენ ჰაერსა
ლაღსა, მაღალის მთისასა.
ჯერ იალბუზსა მიჰმართეს,
წერილს მიართვეს იმასა,
როგორცა მამას მთებისას
თეთრის თმა-წვერით მკობილსა,
ის თავად შეატყობინებს
ყოველსა თავის შობილსა—
მთებსა, გორაკებს, ქანჩახებს,
გარშემოს შემოწყობილსა.
გარიჟრაჟია. მთებს სძინავთ.
ჯერ მზე არ ამოსულიყო:
მადლი ნაძღვნევი ღვთის-მიერ
ქვეყნად არ ჩამოსულიყო.
ყვავილებს ისევ ეძინათ,
თავები ედოთ ერთადა—
ანგელოზებსა მიწისა—
და ძმებსა გვერდის-გვერდადა.
ჰაერის ნაკვთი უცხო რამ
თავს დასტრიალებთ ღმერთადა.
მე ვნახე ძმობა მათ შორის
უმწიკვლო, როგორც ლალია,
ერთს ვერ შევნიშნე სიძულე
და შურიანი თვალია...
დაჭკნობა ყვავილებისა
ღმერთო, რა დიდი ბრალია!
მადლი სდევს იმათ მოსვლასა,
წასვლაშიც მადლი ჩაჰყვება,—
განისვენებენ მიწაში,
როს ადგებიან,—აჰყვება.
თვალით ნანახი სიწმინდე
ჰნათლავს ბოროტ ფიქრთ კრებასა,
სულს ესხურება იაზმა,
ჭირთაგან იგრძნობ შვებასა.
მუდამ ერთს ფერზე არიან.
ჰგმობ, თუ შეასხამ ქებასა.
და მე როს ვუმზერ, მწყურვალი
ვსვამ უკვდავების წყაროსა.
დიდია, არ აქვს საზღვარი
ჩემს ქეიფს სანეტაროსა.
უბე მევსება მადლითა,
ვსცდილობ არ დამეღვაროსა...
დასძინებოდა დეკებსაც,
კლდის წარაფებში ყუჩობდნენ.
არა სწუნობენ საწოლსა,
თვის ბინას არა ურჩობდნენ;
არ სძინავ შურთხსა, უსტვენდა
ჯიხვების კვალზე მავალი,
არ უამბნია არვისთვის
თავის თავ-გადასავალი,
მთა არის მისი სამოთხე,
დილით მზე ამომავალი
და სადგურები ჯიხვების,—
იმათი ჩამონავალი;
არ ჰყოფნის სასაცილოდა
სთველ-ზაფხულ გადმომავალი
გუნდები წეროებისა
შიშ-ზარიანი, მყივანი,
მომთაბარეთ ბუნება,
ტანი წლოკი და მცივანი.
არ დაეძინათ ჩანჩქერებსა:
მარგალიტებად ცვიოდნენ
მაღლიდან გადმომქუხარნი
ძირს ჯურღმულებში შხიოდნენ.
მთათ ნებიერი—ნიავი
მოსისინებდა ჩუმადა
და კლდეებს დაჟანგებულსა
ტანზე ესმოდა დუმადა.
ვერ მოაშორა სიყვითლე
და შური მრავალ-წლოვანი
შემკობილებსა ხავსითა,
არ უნახიათ მყოვანი;
ტახტად უდგანან იალბუზს,
ზედა ზის გმირი მხცოვანი;
მუდამ ყალიონს აბოლებს
დაჩრდილულია ბოლითა.
თავს მუზარადი ადგია
გადალესილი თოვლითა.
არც იმას დასძინებია
სულა ფიქრობდა წუხელა,
წერილი ბარით მიძღვნილი
მოება როგორც წურბელა.
წერილის აზრი აწონა,
თანაც განსაზრა ყოველი,
მრავალ წლის გამოცდილებით
საბრალო წუთისოფელი.
დაბანილს პირსა იწმენდდა
თეთრის, წმინდა ნისლითა.
არა სცხრებოდა გონება,
თან ბარში იყო ფიქრითა.
პირ-დაბანილმა უფროსმა
დასცქირა მთების ლაშქარსა,
უამს რომ ჰხედავს დინჯადა
დაჯარებულსა ამქარსა.
მარცხნივ გაჰსცქერდა, მარჯვნიდან
ესმა სალამი, თავაზა—
ჰხედავს წინ აჰყუდებიან
მყინვარ, ბორბალო, სპეროზა,*)
ყველა აბჯარში ჩამჯდარი,
პირებიც მოღლამაზა.
სალამზე იხდის ბოდიშსა,
პირი არც იმან დარაზა.
ეს უკვირს მხოლოდ იალბუზს:
სცოცხლობს რამდენი ხანია,
არ მოსწრებია ჯერ ამას,
კარს მოსდგომოდენ ძმანია.
სხვა მთებიც იდგნენ ტატნადა,
ვით ბატონის წინ ყმანია;
ეტყობათ არ ასვენებდათ
იმათაც გულის თქმანია.
გახიდულ-გამოხიდული
სივრცეს სჭრის იმათ ტანია,
უმძიმს, თუმც არ ემძიმება
მიწას გმირების ჯანია...
სახე ზოგისა საზარო
რაღაცას მოუჯდანია.
ვაჟკაცსა ჰშვენის მუდამა
წყლული სახეზე ჩნეული,
არა მკლევდება ჭრილობით,
ხაზებით მთების სხეული.
უკვირს იალბუზს მთათ მოსვლა,
სდუმს, ვერა უთქვამს ჯერობით;
ელჩებმა თავად დაიწყეს
პირ და პირ, არა ფერობით:
„ნუ გიკვირს, ჩვენო უფროსო,
ჩვენი აქ მოსვლა უცები:
საქმეა საყურადღებო,
ფიქრი ფიქრს მინატკუცები.
ხმა ერთობისა შაგვესმა
გამოგზავნილი ბარითა,
ბალახნი, ტყე და ლოდები
იმსჭვალვის ამა მჭვალითა;
ქორნი, არწივნი, ყორნები,—
ნეტავ გაჩვენა თვალითა—
ისინიც ერთობისათვის
თითქმის არიან ძალითა,
ჰაერიც ამას გასძახის
ვარსკვლავებს ნიავ ქარითა.
მგლებიც ერთობას ღმუიან
იებსითად, თავის ჯარითა.
მთელის ბუნების ღაღადმა
ჩვენც ჩაგვაფიქრა ყველანი.
რად გავხდეთ თით სადირებნი,
საგმობნი, გასაქელავნი;
რად დავრჩეთ სხვებზე უკანა
აზრით, შვენებით ქებულნი!
როგორღაც გვეჩოთირება,
რომ ვიყვნეთ გამოკლებულნი;
შეგვშვენის დედამიწაზე
ვეყუდნეთ ჩირქ-მოცხებულნი??!.

### იალბუზი

კარგია, დარბაისელნო,
თქვენი რჩევა და თათბირი—
მეც წავიკითხე წერილში
რასც მოსთქვამს ბარის საყვირი.
ბევრი ავიდე-დავიდე,
ფიქრი ამეძრა სამ პირი:
ეხლავე გეტყვით იმასაც
რას, რაზე ვფიქრობ, როგორა,
რას ნიშნავს წითელი კვერცხი,
ვინაც ჩვენ შემოგვიგორა;
ეგ კაცთა მოგონილია
თავის ცხოვრების წამლადა,
ბევრია საწყლობაშია
გადაქცეული ნაცრადა;
სხვა ფუფუნებას განიცდის
ტანჯვა-ვაების ნაცვლადა.
კიდეც ეს გარემოება
ჰბადებს შურსა და მტრობასა—
ერთი მგელია კაცთ შორის,
მეორე უწევს ცხვრობასა.
ეხლა თქვენ გკითხავთ, მითხარით,
მგელი მოიშლის მგლობასა?
მე აქეთ თვალსა ვადევნებ
კაცთა ვნებათა ღელვასა—
ისე ვცნობ კაცის ბუნებას,
როგორაც ღრუბელთ ელვასა.

### მყინვარი

ეგ მართალია, ბატონო,
ვიდრემდის ცხვარი ცხვარია...
ან უნდა მგელი მოისპოს
ან ცხვარი გააცალია.
ერთად იმათი ცხოვრება
მეტად შეუძლო არია,
ან ძაღლი უნდა რამდენიც
ფარაში თხა და ცხვარია.

### იალბუზი

მე ისიც ბევრჯელა ვნახე,
რომ კრავსა სცემდეს კრავია.
ცხვარს მტრადა მგელი არა ჰყავს,
ბევრჯელ თავისი თავია.
მაშასადამე ბუნებაც
თავად ცხვრებისაც ავია...
საფიქრებელიც ესაა,
პირველი საკითხავია.
სპეროზავ, შენაც წარმოსთქვი
კამათის გასარკვევადა!

### სპეროზა

რამდენი ჯიხვი ჯიხვისგან
ნაცემი ჩადგა ხევადა,
გადაგდებული კლდეზედა,
გულს დამსობია ეკლადა.

„მართალი არის, მართალი!“
ბორბალმა სთქვა ხელადა...
მან როდი დაიგვიანა
კვერისა დასაკვრელადა...

### იალბუზი

ჰო და განვაგრძოთ თათბირი,
უფალი გვყვანდესთ მცველადა:
დიაღ, ბუნება კაცების
არის სხვა და სხვა ჯურისა,
როგორც ცხოვრების პირობა
ერთი-მეორეს უდრისა.
ვნებათა ღელვაც დიდია,
ხომ უწყით, კაცთა შორისა—
ეს არის ამრევ-დამრევი
უსწოროსი და სწორისა.
იქ ბოსტანს რა ახეირებს,
საცა დინგი სთხრის ღორისა.
ამიტომ ადამიანნი
ბოსტნებს ავლებენ ღობესა
და ნათესიან ადგილებს.
გააშორებენ ღორებსა.
რომელიც ანგრევს სიმაგრეს
იმასა სცემენ ტორებსა.
ადამიანნი თავის თავს
დღესა, ხვალე თუ გვიანა
მოუძებნიან წამალსა,
რამაც კი დააზიანა—
კაცთა საერთო ცხოვრება
მათი ძმობა და ერთობა.

*) ამ პოემის პირველი ნახევარი დაიბეჭდა ჟურნალ „განათლება“-ში. რადგან მეორე ნახევარი მკითხველთათვის გაუგებარი იქნებოდა, ამიტომ ვბეჭდავთ სრულიად. რედ.

*) მთებია კავკასიაში.

კლასის მოწაფეები მიემგზავრებიან საექსკურსიოდ მცხეთაში. მოწაფეებს მიჰყვებიან მასწავლებლები ლ. ბოცვაძე, ნ. ახმეტელაშვილი და ს. გულისაშვილი. სადგურიდან მოწაფეები წავლენ პირველად არმაზში, იქაურობის დათვალიერებისა და შესწავლის შემდეგ, დაბრუნდებიან მცხეთაში და დაათვალიერებენ იქაურ ღირსშესანიშნავ ადგილებს. შაბათსვე ექსკურსანტები აპირებენ გაიარონ წიწამურში, საგურამოში და საღამოს მივიდნენ წინამძღვარიანთ კარში, სადაც ღამეს გაათევენ. კვირა დილას დაბრუნდებიან უკან, გამოივლიან ზედაზენზე, დაათვალიერებენ ჯვარის მონასტერსაც და საღამოს მატარებლით დაბრუნდებიან ტფილისს.

✦ **ჯარიმის შემცირება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, გაზ. „ტიფ. ლისტ." რედაქტორს ჯარიმა შეუმცირეს 100 მანეთით და დააკისრეს მხოლოდ 30 მ. თუ ამ ჯარიმას არ გადაიხდის, 15 დღით იქნება დაპატიმრებული.

✦ **არამიანცის საავადმყოფო.** ტფ. ქალაქის გამგეობამ, როგორც მკითხველებმა იციან, უკვე დაამთავრა ქალაქის საავადმყოფოების პირველი პავილიონი, რომლის ასაგებად თანხის ერთი ნაწილი შესწირა არამიანცმა. პავილიონი გაიხსნება დეკემბრის ბოლო რიცხვებში. ამ საავადმყოფოს უფროს და უმცროს ექიმის თანამდებობაზე ქალაქის გამგეობამ დანიშნა კონკურსი. კონკურსი მოხდება ოქტომბრის შუა რიცხვებში. კონკურსისთვის უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია. კომისიაში შევლენ: გამგეობის ერთი წევრი, გამგე ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ნაწილისა, ქალაქის საავადმყოფოების გამგენი, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი, ორი წევრი სასანიტარო სამკურნალო საბჭოსი ორის კანდიდატით და ოთხი წევრი საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა. ამ კომისიამ 23 სექტემბერს თავის წარმომადგენლებად აირჩია ექიმები: მ. ზ. ავთახდილოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ალ. რ. ფიშერი და კანდიდატად ნ. ზ. უმიკოვი.

✦ **სახალხო გაზეთი.** ოქტომბრის პირველს ტფილისში დ. ხრამელაშვილის რედაქტორობით გამოვა პატარა გაზეთი სახელად „სახალხო გაზეთი". გაზეთი ეღირება ორი კ. პ. გაზეთი ჯერ-ჯერობით დღე-გამოშვებით გამოვა, შემდეგ ყოველდღე.

✦ **დაჯარიმება.** როგორც ვწერდით, განჯაში უცნობებმა მოჰკლეს პოლიციელი. „ბაკუ"-ს სიტყვით, ადმინისტრაციას ორი ათასი მანეთით დაუჯარიმებია იმ უბნის მცხოვრებნი, სადაც მკვლელობა მოხდა. ამას გარდა, ამ უბანში ყველა დუქნები დაუკეტნიათ.

✦ **საყურადღებო საქმე.** „კავკ." სიტყვით, შაბათს, 25 სექტემბერს, ტფ. სამოსამართლო პალატის სესია ბაქოში გაარჩევს ერთ საყურადღებო საქმეს. სამართალში მიცემულია პოლიცმეისტერად ნამყოფ ფ. ა. დემინსკი, ბოქაულები კაპიტანი მამედ-ბეგ მამედბეკოვი და ნიჟარაძე, ბოქაულის თანაშემწე მამედ-ბეგ სულთანოვი, უბნის ზედამხედველი იბრაგიმ-ბეგ შახტახტინსკი, ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერი ხომიცკი, მეორე საპოლიციო ნაწილის ბოქაულად ნამყოფი პოდგორნი. პოდგორნი მოჰკლეს ტფილისში 1906 წელს, 1 სექტემბერს. პოდგორნის საქმის გარჩევას თხოულობს მისი ქვრივი. ყველა ამათ ჰბრალდებათ უმოქმედობა 1906 წელს, თათარ-სომეხთა შეტაკების დროს. ამას გარდა ბრალდებულებს სხვა და სხვა პირები უჩივიან რამდენიმე ასი ათას მანეთის ზარალს. მომჩივნების ინტერესებს დაიცავს პეტერბურგელი ვექილი ზარუდნი.

✦ სართიჭალის (ტფ. მაზრა) საფოსტო განყოფილება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად გადააკეთეს.

✦ 23 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა ჯარის-კაცი ანდრია ტარასოვი, რომელიც 14 დღის წინად პოლკიდან გაქცეულა და აქამდე იმალებოდა. ამავე დღეს დააპატიმრეს ხარკოვის გუბერნიის მცხოვრები ანტონოვი, რომელსაც მოპარული ნივთები აღმოაჩნდა. ანტონოვს ნივთები მოუპარავს ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრებ მიხეილ ბახაშვილის სახლიდან.

✦ 22 სექტემბერს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, კომისიონერი ივანე შუბლაძე მიუწვევიათ ბანქოს სათამაშოდ „ავსტრიის" სასტუმროში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. სასტუმროში შუბლაძეს დახვედრია სამი უცნობი—ერთი ქართველი, და ორი სომეხი. თამაშის დაწყებამდე ერთ სომეხს უთქვამს: „მე ბევრს ვიგებ და წვრილ ფულზე არა ვთამაშობ, ამიტომ მაჩვენეთ რამდენი გაქვთ ფულიო". შუბლაძეს 85 მან. ამოუღია და სტოლზე დაუდვია. უცნობ სომეხს მსწრაფლ რევოლვერი ამოუღია და შუბლაძისათვის დაუძახნია: „არ დაინძრე ადგილიდანაო". მეორე ხელი დაუვლია ფულისათვის და გაქცეულა. შუბლაძეს აქამდე იმიტომ არ გაუმხელია ეს ამბავი, რომ მოკვლისა შინებია. უცნობები უკვე შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ართვინის მცხოვრები მინას ვატულიანცი. აღმოაჩნდა რევოლვერი.

## მოწერილი ამბები

**ს. გორა** (ქუთაისის მაზრა). სოფელი გორა ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზეა, რიონ-ცხენის-წყლის კუთხეში, და ეკუთვნის ბაღდადის საბოქაულოს. უგზოობისა და მდინარე რიონზე უხიდობისა გამო ამ კუთხის მცხოვრებნი, მეტადრე ზამთრობით, მოწყვეტილნი არიან ქუთაისს. მართალია, მდინარეზე ბორანი მუშაობს, მაგრამ ზაფხულობით თუ კარგა კაცი უშიშრად, თორემ შემოდგომიდან დაწყებული გაზაფხულის გასვლამდე, წყალდიდობისა გამო, ძლიერა სძნელს მიმოსვლა. ყველაზე მეტად ეს უგზოობა ხელს გვიშლის ექიმის მოწვევის დროს. თუმცა აქვეთ ბაღდათში არის ექიმი, მაგრამ ათ საზოგადოებას ვერ გასწვდება. მდინარე რიონი და თან უგზოობა რომ არ გვიშლიდეს ხელს, ქუთაისიდან ადვილად შეგვეძლება ექიმის მოწვევა.

გორის საზოგადოება რვა სოფლისაგან შემდგ, სადაც ირიცხება 1500 მცხოვრებზე მეტი და ამოდენა საზოგადოებაში ერთი სამინისტრო პირველ-დაწყებითი სკოლა არ არსებობს. არის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მაგრამ დიდი სარგებლობა ვერ მოაქვს, რადგან ჯერ ერთი მოუწყობელია და მეორე—ბევრი მასწავლებელი მოუმზადებელია. ხშირად სამასწავლებლო სემინარიებიც ვერ იძლევიან რიგიან მასწავლებელს და ნუ თუ ამაღლებას მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა მოგვცემს კარგ მასწავლებელს?! მოთავე რომ იყოს, ამ საზოგადოებაში ადვილად შეიძლება დაარსდეს ერთი ორკლასიანი და ორი-სამი ოთხ კლასიანი სამინისტრო სკოლა, მით უმეტეს, რომ დღეს სამინისტრო კისრულობს მასწავლებლის ჯამაგირის გაღებას.

**გ. მ—ი.**

—

**რაჭა.** თუ როგორ ზრუნავენ სოფლის მასწავლებლებზე, ამას მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ქვემო მოყვანილ მაგალითიდამ, რომელიც ძალა უნებურად გამოსცადა ჭიორის სოფლის მასწავლებელმა შ. პ—მა. სოფელი ჭიორა მდებარეობს სამხედრო ოსეთის გზის განაპირას, სულ ზემოდ, ზედ კავკასიონის მთის ძირში და არის მთაშორებით ონზე 27 ვერსით. იმის ზემოდ სოფელი აღარ მოიპოვება. ამ სოფელში არსებობს სამინისტრო სკოლა და ამ სკოლის მასწავლებლად იყო ზემოთ ნახსენები პ., ოზურგეთის მაზრის მცხოვრები. მასწავლებელი პ. ამ გაზაფხულზე, როდესაც დაითხოვა მოსწავლენი საზაფხულოდ, ჩვეულებრივ წავიდა გურიაში და დაჰყო იქ სწავლის დრომდე დაწყებამდე. ენკენისთვის პირველ რიცხვებში იგი გამოცხადდა თავის სასწავლებელში. მაგრამ აქ დაუხვდა მოწერილობა, სადაც ატყობინებდნენ, რომ პ. გადაყვანილია ჭიორიდან სამტრედიასკენ. ამასთან სწერდნენ, დაუყონებლივ წასულიყო ახალ ადგილზე. მასწავლებელი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა: რითი წასულიყო, რა საშუალებით, როდესაც ჯიბეში გროში კაპეიკი არა ჰქონდა და არც საიდან ექნება: რასაც იღებს სოფლის მასწავლებელი, თვიდან თვემდე ძლივს ჰყოფნის და თუ ორიოდე გროში გადარჩენა, ისიც გზაში უნდება ხოლმე. ეხუმრებით 135 ვერსის გამოვლას ქუთაისიდან ბარგით, ჯალაბობით! მარტო რომ ყოფილიყო, შეიძლება მოეხერხებინა როგორმე ქუთაისამდის მაინც ჩასვლა, სხვა არა იყოსრა, ფეხით მაინც წავიდოდა, მაგრამ რა უნდა ექმნა მოუძლურებულ დედისთვის და შვიდი რვა-წლის პატარა ძმისთვის, რომელიც თან მოიყვანეს!?

ურჩიეს აქეთ იქიდან, რომ დეპეშა გაეგზავნა ინსპექტორისათვის, ეთხოვნა დატოვებიათ ისევ გაზაფხულამდე და თავისი უსახსრობაც შეეჩივლა. დეპეშა გაგზავნა 4 სექტემბერს. დაიწყო დიდის პასუხისა. არც ახლად დანიშნული მასწავლებელი ჩანდა. იმედი მოეცა, რომ ისევ ძველ ადგილზე დასტოვებდნენ და არ ჩავარდებოდა ზედმეტ ხარჯში. როგორც იყო, მგონი 8-ში მიიღო დეპეშა უფროსისაგან. ატყობინებდა შემდეგს: „გაძლევ ნებას დარჩე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი მასწავლებელი არ მოსულა". მაგრამ ისე უიღბლობას: ახალი მასწავლებელიც სწორედ ამ დროს მივიდა. როგორც გამოკითხვიდან გამოირკვა და როგორც გვიამბო ახალმა მასწავლებელმა, იგი დირექციაში ყოფილა 5 ამ თვეს და იმ დღესვე მიუციათ მისთვის ქაღალდი, გამომგზავრებულიყო რაჭისაკენ. დეპეშა-კი იყო გამოგზავნილი 4-ში, ე. ი. ერთი დღის წინად, ვიდრე მასწავლებელს მისცემდნენ მოწერილობას რაჭისაკენ გამომგზავრებისას.

აი ასე ზრუნავენ სოფლის მასწავლებელთათვის

**რაჭველი.**

## ქალთა პროფესიონალური სკოლა ქუთაისში

ეს სკოლა დაარსდა 1896 წელს ქ-ნ ევგენია კორძაიას მიერ. და ამ, შედარებით, ცოტა ხნის განმავლობაში კიდევაც დიამსახურა საზოგადოების ყურადღება. დღეს-დღეობით იგი მიხნეულია საუკეთესო დაწესებულად და ბევრ მშობელს სურს მიაბაროს იქ თავისი შვილი, რათა მიაღებინოს პრაქტიკული, ცხოვრებაში გამოსაყენი, ცოდნა. სკოლის დამაარსებლის მთავარი მიზანია გაავრცელოს ქართველ ქალებს შორის სიყვარული სხვა და სხვა სასარგებლო ხელობისადმი, რომელსაც წინად დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი საზოგადოება კი მივიწყებულია.

ამ ჟამად სკოლაში ითვლება 80-დე მოსწავლე ქალი. მათ შორის რამოდენიმე რუსი ურევია. სკოლა შესდგება სამს უმცროს განყოფილებისა და ორ უფროს კლასისაგან. ბავშვები იძენენ პირველ-დაწყებით განათლებას და ეცნობიან საკმაოდ საფუძვლიანად ქართულ და რუსულ წერა-კითხვას და ანგარიშს, უპირველესი ყურადღება-კი მიქცეულია პრაქტიკულ მუშაობაზე, რომელსაც მოსწავლენი ანდომებენ უმთავრეს დროს და საოცარის ხალისით და დაკვირვებით ეკიდებიან საქმეს. ასწავლიან ყოველ-გვარ ხელ-საქმეს: სუფთა, ფაქიზ მატერიების ქსოვას, ოქროს მკედის ქარგვას და სხვა და სხვა საუცხოვო [illegible] ...ტერიაზე, [illegible] ...დიხების [illegible] თებას.

ამ სკოლის სულის ჩამდგმელი, კამგე ქ-ნი ევგენია კორძაია ორჯელ დაჯილდოვებულ იქმნა ოქროს მედლით, თავის შესანიშნავ ნიმუშების წარდგენის გამო, გამოფენებზე, სადაც მნახველნი აღტაცებაში მოსულან სკოლაში დამზადებულ მრავალგვარ ნივთებით. ქუთაისის სამეურნეო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმაც მიმართა სკოლის მმართველს წინადადებით, მიიღოს მონაწილეობა მომავალ გამოფენაში რაზედაც სრული თანხმობა მიიღო. ვისაც ეჭვი შეეპარვის ჩემ სიტყვების სიმართლეში, შეძლება აქვს მიბრძანდეს გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება 26 ენკენისთვეს ქუთაისში და თავის თვალით დარწმუნდეს.

**ალექსანდრე თორაძე.**

## შორეულ აღმოსავლეთში

**ხარბინის ინციდენტი.**

„რუს. სლოვო"-ს ხარბინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის კონსული ბაუმილერი ხარბინში უეჭველია გერმანიის ელჩის (პეკინშია) დარიგებით მოქმედებსო. ამ ინციდენტის გამოსაძიებლად გერმანიის ელჩმა გაგზავნა მუკდენის საკონსულოს მოხელე ვიტე, ძველი მეგობარი რეტგერისა, რომელსაც ხარბინში ქარხანა აუწერეს რუსებმა. ცხადია, რომ ვიტე ყველაფერში გაამართლებს გერმანელ ქვეშევრდომებსა და კონსულს.

რუსები ხარბინში ძლიერ გულმოსულნი არიან გერმანელებზე; ისინი ბოიკოტის გამოცხადებას უპირებენ გერმანელ ფირმებს.

გერმანიის მთავრობა ჯერ ხმას არ იღებს ამ ინცინდენტის თაობაზე: იგი ჯერ ელის ინცინდენტის დასრულებას.

ფრანგ დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ ეს ინცინდენტი მორიგეობით გათავდებაო.

გერმანული პრესსა დიდ ყურადღებას აქცევს ამ ინცინდენტს. მთელი პრესსა და ნამეტნავად „ბერლი-

---

ჩვენზე ვსთქვათ რამე, კაცებზე
ეს საუბარიც გვეყოფა.

**მყინვარი. ბორბალა და სპეროზა** (ერთად).

ვისაც-კი ფეხი დაუდგამ
ჩვენს ქედზე ერთხელ, ოდესა
ჩასული ბარად, დღე და ღამ
უნდა ამაზე ჰბჰობდესა:
ყველას გული და გონება
ჩვენსკენ მუდამ-ჟამს, რბოდესა...
ჩვენი სახელი დიდება
ჩვენვე გავთელოთ ფეხითა?...
ვით განვაცხადოთ უარი,
უნდა მოვიქცეთ ხერხითა.
გამდგარნი მოღალატენი,
მთებო, რას დაიკვეხითა!..

**ი ა ლ ბ უ ზ ი**

და იცით, ძმებო, რა გითხრათ,
ყური დამიგდეთ კარგადა:
ერთობის მცნება მთათ შორის
მაჩნია უხმარ ბარგადა.
ერთხელ რაც ძალა შეგვძინა
ღმერთმა იმავე თავითა,
მას ვერც შევმატებთ, ვერც შევკვეცთ
ვერც ხვეწნით, ვერცა დავითა.
რა ვქნა, ვერ შევძლებ მე მეტსა:
რაც ვარ, იმადვე დავრჩები,
ძველს წესზე უნდა ვაცხოვრო
ფრინველები და არჩვები—
ძველებრივ ვადენ მდინარეთ,
ნისლებს დავიყრდნობ მკერდზედა;
მზისა და მთვარის სხივებსა
კვლავ დავისვენებ მხრებზედა.
მე მგლებს ვერ გავწყვეტ, ვერც ვეფხვებს,
მომერგებიან შვილადა,
თუმც მაჯავრებენ ბევრჯელა,
ავობენ თავის წილადა.
არ დავიდევენ ერთობას,
შველებს, ჯიხვებს სჭამენ წყვილადა.
მე ვერ მოვითმენ, არწივნი,
ფ-არები გასწყლენ ღივადა.
როცა არწივი მიმოჰქრის
მე ვერ მივიღებ ცივადა,—
შემომთამაშებს თვალ-წარბში,
საამურია ფრიადა.
ნუ თუ კაცთ თავის შვილები
არას უხდენენ შინადა?
რა უყოთ, ესეც დაუტევს
კაკბებს, როჭოებს საჭმელად,
მაგრამ კაცთ მიერ ზარალთან
ეს განა კი ღირს სათქმელად?!

**ბ ო რ ბ ა ლ ა**

მართალი არი, კაცებთან
ჩვენ არას გვარგებს ერთობა
ათასჯერ ფიცით შევიკრნეთ,
კაცი ვერ როგორ გვეძმობა.
ბალახს ჩვენს მკერდზე მოსთიბავს
მწვანესა, ყვავილიანსა,
მოჰკლავს ჩვენს გაზდილს ნადირსა,
ხორცს უქებს მარილიანსა.
ცხვრითა და ძროხით გაგვქელავს
როგორც დღესნამდე გვქელავდა.
ჩვენის სისხლ-ხორცით ნასუქებს
ცხვარსა და ძროხას სწველავდა
მიაქვს და აღარა მოაქვს
წაღებულისა ბადლადა.
თუ ჰკვა აქვს ამას დასჯერდეს...
ჩვენ ეს გვეყოფა მადლადა.
ჩვენც მაინც უარს ვერ ვეტყვით,
როგორც არ გვითქვამ არც როსა
და თუ რომ ერთი მეორეს
კაცი აყენებს შავს დროსა,
მეტად სარგებლობს ჩვენითა,
მეტსა ჰზრდის ცხვარსა და ხბოსა,
მეტს ისაკუთრებს ჩვენს ამაგს,
თავზე მოჰყვის ის ბრბოსა—
ეს თვით კაცთ ივარაუდონ,
თუ აქვთ ერთობა მიზნადა.

თავს ჰხრის მყინვარი, სპეროზა
მოძმის თანხმობის ნიშნადა.

**ი ა ლ ბ უ ზ ი.**

დიაღ, თუ ჰკვა გვაქვს ჩვენ მთებსა
ცოტა რამ ცოდნა თავისა
ერთობის ფარგალში ვცხოვრობთ
ჩვენში ერთობა ჰყვავისა.
დიდი ხნიდანვე, არა დღეს
ეს კაცთ ვერ გაუგავისა.
აბა, თუ ვსტყუი, მითხარით,
პირად ნუ მომეფერებით:
გშურსთ ვისმე ჩემი სიმაღლე,
რომ ვდევარ ყელ-მოღერებით?
ვიცი, რომ არა, და მიტომ
არც ველი თქვენგან პასუხსა;
სხვას რას მიმატებს სიმაღლე,
თუ არ ტანჯვასა და სუსხსა?
მაგრამ მეც ბედნიერი ვარ
სხვა გორაკებთან ერთადა,
თუ თავზე მცივა, წელ-გულით
ბედნიერი ვარ ბევრადა...
თქვენიდან გადმოხიზნული
ნადირ, ფრინველი, ნისლები
მომივლენ უკრძალავადა,
როგორც დედასა შვილები:
საჭმელსა სჭამენ, სასმელს ჰსმენ,
მოსწონთ მწარე თუ ტკბილები.
თქვენთანაც ეგრე მოდიან
ჩემს მკერდზე გამოზდილები.
ჩემთ ღრუბელთ ნამი თქვენ გნამავს,
თქვენისა მე მესხურება,
როგორაც თქვენა, ეგრევ მე
ცა ქუდად დამხურება.
მოაქვს ჩვენიდან ვისც რა ჰსურს
რად ვინმე დაგვემდურება?
ჩვენის ამაგით სარგებლობს
და არც ჩვენ მივდევთ გინებით,
მიჰხედ - მოჰხედით თქვენს გულსულ სავსე არის ზინებით. | მკერდს
როგორც დღესნამდე მადლს ვთესდღეიდგეც ასე ვიქნებით. | დით,

(ქვეიდან მოისმის ხმა დედა-მიწისა)
„მეც თქვენთანა ვარ აზრითა!"
ისმის ჯურღმულით გუგუნი,
ისმის ხმა დედა-მიწისა,
როგორც ხარ-ლალის ბუბუნი.
მთელმა სამყარომ ამ ჟამად
დაიწყო ნძრევა-ჩუჩუნი

**მ ყ ი ნ ვ ა რ ი.**

მართალი არის, ეხლა-ლა
გადამეწმინდა გონება.
მთათ შორის, თუ კარგად განვსჯით,
არსად არ არის მონება.
თუ არწივს ტევის ნება აქვს,
ვეფხვს კლანჭის ქნევის, რჩოლისა,—
კაკაბს და ჯიხვსა თანაბრად
გახიზნვისა და სრბოლისა.
იმიტომ მოვკლათ არწივი,
რომ არს მამაცი, მალია,
რომ ლეში უყვარს საჯიჯგნად
და საწიწკარად ძვალია,
და ვეფხვი, რადგან ძალ-ღონე
იმათ არ დაუმალია?!.
ვეფხვ-არწივების ტაცებით
დღემდის არ გასწყდა გვარები
და, მადლობა ღმერთს, საკმაოდ,
დის ნადირ-ფრინველთ ფარები!
სით, როგორ გავაბედენო
ერთი-მეორის ცალები?
ათი-ათასს სჯობს ტრედს, კაკაბს
მარტო არწივის თვალები.
თუ მისი ყეფაც არ მესმის,
არ ვნახე ვეფხვის ხალები,
მესმოდეს კაკან-კნავილი
გულისა გასაწყალები?
ჩემს მკერდს ჰკაწრავდეს მხოლოდა
უჯიშო, ლაჩართ ბრჭალები?!
ვერ შეიგუებს ამ აზრსა
ჩემი სისხლი და ძვალები.
ერთს თუ ვიბრალებთ, მეორეც
დიაღ არს შესაბრალები.
ვით არ ვხედავდე არწივსა,
იმას კი ვენაცვალები?!.

**სპეროზა.**

რასაც თქვენ ამბობთ, ვაეკაცნო,
მეც მაგისი თქმა მეწადა:
ერთობის აურ-ზაური
არ მიმაჩნია ბეწვადა!
მთებს რაც ძალა გვაქვს არ ვზოგავთ
ვინც დაეწვდება, მისია.
საძმოა, საერთო არის
ნადირ-ფრინველი, მთისია,
ხელ-საყრელია ყველასთვის
წყარო ნაჟური კლდისია,
სამეჯლისოდ აქვს კაცებსა
ყანწები ჯიხვებისია.
როს მიუხედით კარზედა,
როდისა ვკითხეთ ვისია?
მაგრამ თუ საწყალთ გაიგეს,
ვინაც კაცთ შორის ჰრევია,
რომ ჩვენ არ ვწუნობთ არწივებს,
რაც უნდა იყოს ბევრია,
არც მგლებს და ვეფხვებს, არც მელებს
ნადავლი დაუთრევია,—
წყევლას გვეტყვიან: მთა მთას ჰხვდეს,
ხევს მიეჯახოს ხევია,
რადა? და მადა არ ესმით.
მათ მოსაზრება ჩვენია,
ვერ შეიგნებენ, რომ მთები
არწივთ ნავარდსა სჩვევია,
არ ვთვლით ზარალად რაც სისხლსა
სთხევენ და დაუთხევია,
არ ესმით, რომ ღმერთს გვაყვარებს
მთად მოარული დევია;
იმას რომ ვხედავთ ვლოცულობთ,
ყველა ამის ვართ მთქმელია,
რომ არ აიღოს უფალმა
საწყალს მთებზედა ხელია;
გვაცხოვროს მადლიანადა,
არ ვიყვნეთ ცოდვის მქნელია,
არ გაბატონდეს ჩვენზედა
ბიროტი, კარგის მსრველია.

**იალბუზი.**

კაცნი ერთობას მთებისას
ვერაფრათ დაიწუნებენ,
თუ მაღლა მფრინავს ოცნებას
სიწყნარით დაიდუნებენ;
ჩვენს წრეში აგვწონ-დაგვწონენ
პირდაპირ, მიუმდგარადა.
ღმერთმა გვაშოროს მოვიქცნეთ
ჩვენც ადამიანთ გვარადა:
თუ ერთმა მეორე ერი
დაიპყრო, დაიმონავა,
გაანადგურებს, გაჰქელავს,
არ შაიბრალებს ოდნავა;
სულს ახრობს, ჰკვეთავს ენასა,
არ ათქმევინებს სათქმელსა
თავის ენაზე, თვის რჯულზე
არ ანთებინებს სანთელსა.
ვინ მოსთვლის უსამართლობას,
საწყალს დაჰმართებს რამდენსა.
ღმერთმა გვაშოროს არ ვიზამთ
ჩვენ მაგისთანა რამესა!..

**მყინვარი, სპეროზა და ბორბალა** (ერთად)

ღმერთმა გვაშოროს მსგავსი რამ
მთა-ქიუხების არესა,
როგორ შევხედოთ პირნათლად
მაშინ მზესა და მთვარესა;
ვით შევხედეთ მქნელნი მაგვარის
ჩვენ გათენებულს ღამესა!
გაზაფხულს აღტყინებულსა
ყვავილით ნაქარგს მწვანესა;
წმინდა სულების კრებასა,
ცრემლს იმათ თვალთა ნადენსა!

**ი ა ლ ბ უ ზ ი**

მთათა ბუნება არ სწყრება
სხვა და სხვა ენით სმენითა
ისევევ სტკბებით ღმუილით,
როგორც შურთხების სტვენითა.
ჩვენ როდი უშლით დათვ მგლებსა
თავი გაირთონ ლხენითა.
კაკაბი, როჭო, არწივი
სხედან თუ ვლენან ფრენითა,
ამბობენ, რაცა სწადიანთ
თავის მშობლის ენითა.
ვით დაუწუნოთ სვავებსა
გრძნობის გამოთქმა ქშენითა?
ყორნები დაყრანტალობენ,
ყვავნი ჩხავიან კრებითა.
როცა არწივი თამაშობს,
გულს ინავარდებს ყეფითა;
წყალნიც მიდიან, მოსთქვამენ
ათასნაირის ხმებითა.
ნუ თუ ეს სხვა და სხვაობა
არ მოვიხსენოთ ქებითა?
ყველა ერთს ხმაზე ვამღეროთ,
დავკარგოთ დიდ ლაზათი?!..
რათ შევიგუოთ უმსგავსი
უმსგავსთა კაცთა ადათი?
იმაზე ცუდი რაღაა;
განვსხვავდებოდეთ არათი?!
თუ თანახმა ხართ, ბარს მივძღვნათ
ამ შინაარსის ბარათი:
ეცადოს საუკეთესო
მან შეიკეროს ხალათი,
ესწრაფოს თავისუფლებას,
ცხოვრება ჰქონდეს ხალბათი;
თუ ვინმე გაბატონდება,—
მოსპოს შნოება, ლაზათი,
იმას ეურჩოს, შეჰმართოს
და გაუწოს კამათი.

**ვაჟა-ფშაველა.**

(შემდეგი იქნება)

ნერ ტაგებლატ“-ი იწონებს კონსულ ბაუმილერის გაბედულ მოქმედებას, რადგან ხარბინი ჩინეთის სამფლობელოა და რუსეთს იქ საქმე არა აქვსო.

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის უთქვამთ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში:

— ხარბინის ინციდენტმა მეტად შეაწუხა და დააფიქრა რუსეთის მმართველი წრეები, მით უმეტეს, რომ რუსის სასამართლოს ბოქაული სრულიად კანონიერად მოქცეულიყო. რუსის დიპლომატებში ბევრი თხოულობს, რომ გერმანიის კონსული ბაუმილერი კონსულად აღარ ვიცნოთო, მაგრამ ეს მოთხოვნა, არა მგონია, განხორციელდეს, რადგან ჩვენს სამინისტროს არა ჰსურს ურთიერთობის გამწვავება გერმანიასთან. იმედია, რომ ეს სამწუხარო ინციდენტი დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით გათავდება და რომ იგი არ შეარყევს რუსეთ-გერმანიის მუდმივ მეგობრობასო.

სულ სხვა თვალით უყურებენ თურმე საქმეს გერმანიის საელჩოში პეტერბურგში. იქ უთქვამთ იმავ კორესპონდენტისთვის:

„რაღა თქმა უნდა, მეტად სამწუხაროდ დაგვრჩა ხარბინის ინციდენტი, მაგრამ ჩვენს კონსულს ბაუმილერს-კი სულ ტყუილად სდებენ ბრალსა. რუსულ ოფიციალურ ცნობებიდანაც სჩანს, რომ მას მშვიდობიანად უნდოდა საქმის გათავება, და თუ მაინც ისევ შეტაკება მოხდა, ეს იმისი ბრალი აღარაა.

ამ საქმემ თავი აუშალა მრავალ რთულ დიპლომატიურ და იურიდიულ საკითხებს, რომლების გადაწყვეტას ბევრი დრო დასჭირდება. ამ ინციდენტს კარგად გამოაძიებინებს გერმანიის ელჩი და მაშინ ყველაფერი რიგზე და სწორედ გამოირკვევა. ბაუმილერი მხოლოდ დროებით ასრულებს კონსულის თანამდებობას. ამ ინციდენტს ტყუილად აზვიადებენ. იმედია, რომ იგი დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით გადასწყვეტენ.

**გერმანიის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში.**

შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მცოდნემ ბ-ნმა ი. პოპოვმა „რუსკია ვედომოსტი“-ში საინტერესო წერილი უძღვნა ხარბინის ინციდენტსა და საზოგადოთ გერმანიის პოლიტიკას. იგი სწერს:

„კონფლიქტი რუსის სასამართლოსა და პოლიციის წარმომადგენელთა და გერმანიის კონსულს შორის ხარბინში არ უნდა გეჩვენოთ მოულოდნელად, რადგან გერმანია ბოლოს დროს ძლიერ გაბედულად და თამამად იქცევა შორეულ აღმოსავლეთში. მისი პოლიტიკა მარტო რუსეთს როდი აწუხებს, მან დააფიქრა აგრეთვე სხვა დიდი სახელმწიფოებიც: ინგლისი, იაპონია და შეერთებული შტატები. ციანდაოს (ნავთსადგურია წყნარ ოკეანის პირად, გერმანიის კოლონიაში—კიაოჩაოში) დაპყრობის შემდეგ გერმანია მუდამ ცდილობდა თავის გავლენის გაძლიერებას როგორც შანდუნის ნახევარს კუნძულზე, (კიაოჩაო—ამ ნახევარ კუნძულზე მდებარეობს) ისე მთელს ჩინეთში. იგი ბეჯითად და დალაგებით აწარმოებს პოლიტიკას და ნიადაგ არწმუნებს ჩინეთის მთავრობას, როგორც სიტყვით, ისე საქმით, რომ გერმანია ისეთი მძლავრი სახელმწიფოა, რომ სხვა სახელმწიფოები არაფერია იმასთანაო. გერმანიის გავლენა ჩინეთში იმდენად გაძლიერდა, რომ ინგლისი და შეერთებული შტატები დაფიქრდნენ, მეტადრე მას შემდეგ, როდესაც ჩინეთმა გერმანიას მიანდო ტიან-ძინის რკინის გზის აშენება. შტატებმა და ინგლისმა მთელი თავიანთი დიპლომატიური ხელოვნება მოიხმარეს, რომ ჩინეთს გერმანიისაგან არ ესესხა ფული ხანკოუ-კანტონის რკინის გზის ასაშენებლად და კიდევაც ჩაშალეს ეს საქმე, მაგრამ ამ მარცხმა მაინც ვერ შეარყია გერმანიის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთთან მან კარგი ხეირიანი სავაჭრო ხელშეკრულობა აქვს დადებული. მისი სავაჭრო ფლოტი თან და თან მრავლდება და აძლიერებს მის ვაჭრობის სახელს ჩინეთის ზღვებში. ტიანძინ-ნანკინის ახალი რკინის გზა, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ პროვინციებზე გაივლის, უფრო გააძლიერებს გერმანიის გავლენას, რადგან ეს გზა გაავრცელებს გერმანიისავე საქონელს. ამავე მოსაზრებით გერმანიამ ძლიერ გააუმჯობესა თავისი ნავთსადგური ციანდიოში და იმედი აქვს, რომ ეს ნავთსადგური აჯობებს ჩიფუსა და შანჰაის ნავთ სადგურებსაო.

გერმანიას არ ავიწყდება მანჯურიაც. თავდაპირველად იგი შეეცადა იაპონიასთან დამეგობრებას და მართლაც ისე დაუახლოვდა „ამომავალ მზის ქვეყანას“, რომ ინგლისურმა პრესამ უსაყვედურა იაპონიის მთავრობას, გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას უწყობთ ხელსაო. მანჯურიაში გერმანია ინტრიგებს ეწევა რუსეთის წინააღმდეგ; მის გავლენით ჩინეთიც ძლიერ გათამამდა და მეტად კადნიერად ექცევიან რუსეთს. გერმანიის კონსულები ხარბინსა და ხაილარში არაფრად აგდებენ რუსის მოხელეების მიერ მოწყობილ საქალაქო თვითმმართველობების საბჭოებს. გერმანიის გავლენით ჩინეთმა მოინდომა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამოსყიდვა რუსეთისგან, მოითხოვა ამ გზიდან რუსის ჯარისკაცების განდევნა და გზის უფროსად სამხედრო პირების მაგივრად სამოქალაქო პირების დანიშვნა. ეტყობა, გერმანიისავე გავლენით ჩინეთის მთავრობამ გამოუცხადა რუსეთის ელჩს, რომ იგი აღარ განაახლებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც 1881 წელს იყო დადებული პეტერბურგში რუსეთსა და ჩინეთს შორის და რომელსაც ვადა მომავალ 1911 წელს გაუვა.

13 სექტემბერს ხარბინში მომხდარი ინციდენტი მარტო შემთხვევით არ აიხსნება. გერმანია ყველგან დიდის მოფიქრებით მოქმედებს. მის მთავრობას კარგად ესმის, რომ ამ ჟამად რუსეთს, გინდ ძლიერაც მოინდომოს, არ შეუძლიან თავის სახელისა და ინტერესების დაცვა. იქნება გერმანიამ ამ მოკლე ხანში კიდევ ბევრი უსიამოვნება მოგვაყენოს შორეულ აღმოსავლეთში, მით უმეტეს რომ რუსეთი თითქმის განმარტოებულია იქა. იაპონია, როგორც ჩანს, ცდილობს ჩინეთისა და რუსეთის წაკიდებას. ინგლისი იაპონიის მოკავშირეა და ამიტომ ჯერ ხმას ვერ იღებს. საფრანგეთს საკუთარი ინტერესები და დარდები აქვს ტონკინსა და სამხრეთ ჩინეთში და ამიტომ არ შეუძლიან თავის მოკავშირე რუსეთის შველა. გერმანიამ ისარგებლა ამით და რუსეთი ზნეობრივად დაამარცხა ჩინელების თვალში, რასაც მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ეტყობა, რუსეთის მთავრობა იძულებული იქნება ამ საქმეში დაუთმოს გერმანიას, ხოლო ეს დათმობა უფრო უარესად გატეხს სახელს რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში.

# რუსეთი

◆ **დახმარება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც ქალაქებს ორი წლით, კიდევ უნდა ეძლიოთ დახმარება პოლიციის შესანახად. როგორც კანონ-პროექტის განსამარტებელ ცნობებიდან სჩანს ქალაქების ფინანსიური მდგომარეობა ძალიან დაქვეითებულა. ამ უკანასკნელ წლებში ქალაქებს დიდ-ძალი ვალი აუღიათ. რუსეთში მარტო 9 ქალაქი ყოფილა ისეთი, რომლებსაც ვალი არა ჰქონიათ და ცოტად თუ ბევრად რიგიანად აწარმოებენ თავიანთ საქმეებს. დანარჩენების საქმე კი უკიდურესობამდე მისულა.

◆ **ჭკუაზე შეშლა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ვარშავის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გადაუწყვეტა ვინმე იან ლანგეს. როდესაც ლანგე დასახრჩობად წაუყვანიათ, გზაში ჭკუაზე შეშლილა. ლანგე სავადმყოფოში გაუგზავნიათ, ექიმებს შეუმოწმებიათ, რომ ლანგე მართლაც ჭკუაზე შეშლილა.

◆ **გაუნათლებლობის შედეგი.** „რეჩ“ ტამბოვიდან დეპეშით ატყობინებენ: ბორისოგლებსკის მაზრაში გლეხებმა მოჰკლეს ერთი გლეხი: კუდიანი იყო, ადამიანებს და შინაურ პირუტყვს ულოცავდა და ჰკლავდაო.

◆ **ტოლმაჩევი და ებრაელები.** ოდესელ ებრაელებს ოდესის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევისთვის მიუმართავთ, ნება მოგვეცით, რომ უფროსი რაბინის არჩევნები მოვახდინოთო. საქმე იმაშია, რომ ამას წინად ტოლმაჩევმა ებრაელებს ნება არ მისცა უფროსი რაბინი აერჩიათ და თვითონ დანიშნა რაბინი. ტოლმაჩევის მიერ დანიშნული რაბინი ცოტა არ იყოს მოღალატე აღმოჩენილა. ამ რაბინს პეტერბურგში სტოლიპინისათვის დეპეშა გაუგზავნია, ებრაელები უკანონოდ მოქმედებენო. რაში გამოიხატება ეს უკანონო მოქმედება, არავინ იცის. აი ეს არის მიზეზი, რომ ებრაელები რაბინის არჩევნებს თხოულობენ. ტოლმაჩევს ებრაელებისთვის უთქვამს, მე არჩევნების მომხრე არა ვარ და თუ ჩემ მიერ დანიშნული რაბინი არ ვარგა, სხვას დავნიშნავო. თუ მაინც და მაინც გინდათ, რომ არჩევნები დავნიშნო, ეხლა რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნებია, იქ დამიმტკიცეთ, რომ თქვენ მთავრობას ენდობით, და რევოლიუციონერები არა ხართ ე. ი. ჩვენებურად რომ ვსთქვათ, მემარცხენეებს ნუ მისცემთ ხმას, „ჭეშმარიტი რუსი“ აირჩიეთო.

◆ **ავადმყოფობა აღკრძალულია.** სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების უფროს სადგურ გლუბოკაიას უფროსისთვის, რომელიც ავად გამხდარა, მიუწერია: „ეხლა რკინის გზებზე ბევრი სამუშაო გვაქვს. ამიტომ ავად გახდომა სასტიკად აღკრძალულიაო“. (გოლ. მოს.).

◆ **ეპისკოპოსი გერმოგენის უკანასკნელი ბრძანება.** სარატოვის „ცნობილ“ ეპისკოპოს გერმოგენს თავის ეპარქიის ბლაღოჩინებისათვის მიუწერია, სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური, რომ მღვდლები და მედავითნეები ქალაქებში არ დადიოდნენ, ამის ნება-რთვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიეცითო. საქმე იმაშია, რომ მღვდლები, როდესაც სარატოვში ჩამოდიოდნენ, გაზეთების კორესპონდენტებს აცნობდნენ ეპისკოპოს გერმოგენის „მოღვაწეობას“. როგორც სჩანს, ეპისკოპოსი მიტომ უკრძალავს მღვდლებს ქალაქში სიარულს, რომ მათ საშუალება არ მისცეს კორესპონდენტებს ელაპარაკონ. საინტერესო ის არის, რომ ეპისკოპოსი გერმოგენი საჯაროდ მღვდლებს ძაღლებს ეძახის და ამასთან ისეთებს, რომლებსაც რიგიანი ყეფაც კი არ იციან. (რეჩი).

◆ **დაპატიმრება.** „ტიმეს“ ვენიპეგიდან (კანადა), დეპეშით ატყობინებენ, დაუპატიმრეს ფინლიანდიის ფოსტის მოხელედ ნამყოფი იოჰან ვასარაო. ვასარამ ამ რამდენიმე ხნის წინად 350,000 მანეთი გაიტაცა და სადღაც გაჰქრა. რუსეთის პოლიცია დიდი ხანია დაეძებს ვასარს.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვილნოში 3, ხარკოვში 2, პეტერბურგში 2, უფაში 1, ტამბოვში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 2, პეტერბურგში 3, უფაში 1, სარატოვში 2 კაცი.

◆ **მშვიდობიანობის ახალი კონფერენცია.** სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ დეპუტატის სიტყვით გარეშე საქმეთა მინისტრს შეუმუშავებია და მოკლე ხანში სახელმწიფოებს დაეგზავნებათ ნოტა. ნოტაში ნათქვამია, საჭიროა ამ წელში ჰააგაში მოიწვიოთ მშვიდობიანობის კონფერენციაო. კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი სახელმწიფოების შეიარაღების შეჩერების შესახებ. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის აზრით, სახელმწიფოებმა შეიარაღებას თავი უნდა გაანებონ, რადგან ჰაეროპლანების მოგონებით და გაუმჯობესებით ომი შეუძლებელი ხდება.

◆ **სარწმუნოების თავისუფლების წინააღმდეგ.** „რანნეე უტრო“-ს სიტყვით სინოდს დასავლეთ რუსეთის სამღვდელოებისაგან პეტიცია მოსვლია. სამღვდელოება შუამდგომლობს, სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ კანონ-პროექტს სარწმუნოების თავისუფლების შესახებ ნუ დაამტკიცებენო.

◆ **რკინის გზებზე.** გზათა მინისტრს გადაუწყვეტია, შეამციროს მოსამსახურე ქალების რიცხვი რკინის გზებზე. განზრახულია რკინის გზებზე მოსამსახურე ქალების რიცხვი ოც პროცენტს არ აღემატებოდეს.

◆ **ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს სესსიის დაწყებისთანავე იუსტიციის მინისტრი სათათბიროში შეიტანს ახლად შედგენილ კანონ-პროექტებს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. ამ კანონ-პროექტით ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს წინანდელთან შედარებით დიდი უფლებები ექნება და ამას გარდა შემცირებული იქნება ქონებრივი ცენზი.

◆ **შეკითხვა.** ოქტომბრისტებს გადაუწყვეტიათ სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ გზათა მინისტრის სახელზე. ოქტომბრისტები თავიანთ შეკითხვაში შეეხებიან ამურის რკინის გზას. როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, ამ რკინის გზის აშენების დროს ბევრი სიყალბე ჩაუდენიათ.

# უცხოეთი

**პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.**

ინგლისელ პოლიტიკოსთა წრეებში უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ კონფლიქტი ლორდთა და დეპუტატთა პალატებს შორის აუცილებელი შეიქნა. გაზ. „ტაიმს“-ი, რომელსაც რამდენიმე კვირის წინად შეუძლებლად მიაჩნდა ლორდთა პალატის მიერ ბიუჯეტის უარყოფა, ეხლა იუწყება, რომ ლორდები განზრახ ისეთ ღონისძიებას მიიღებენ, რომ მთავრობა იძულებული გახდება—დეპუტატთა პალატა დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოსო. ორსავე პარტიის აგენტები უკვე შეუდგნენ საარჩევნო კომპანიის თავდარიგს. სტატს-სეკრეტარმა ბეკსტონმა განაცხადა ერთ-ერთ კრებაზე, რომ ბალფურმა და ჩემბერლენმა ბირმინჰამში შეხვედრის დროს გადასწყვიტეს, ლორდებს ურჩიოთ გაბედულად მოიქცნენ და ბიუჯეტი უარჰყონო. ამ ჟამად ლორდთა პალატა იხილავს ირლანდიის საადგილმამულო კანონპროექტს და ინგლისელი პოლიტიკოსები ჰფიქრობენ, რომ სწორედ ეს განხილვა გამოაჩენს, სწადიანთ ლორდებს საქმის გამწვავება და დეპუტატთა პალატასთან ბრძოლა თუ არაო.

საქმეში ჩახედული პოლიტიკოსები ირწმუნებიან, რომ გინდ ლორდებმა დაამტკიცონ კიდეც ბიუჯეტი, სამინისტრო მაინც დაითხოვს პალატას და ახალ არჩევნებს დაჰნიშნავსო; მას გამარჯვების იმედი აქვს, რადგან ამომრჩევლები ამ ჟამად კარგის გულით არიან ლიბერალებზე.

სიტის (მდიდრების უბანია ლონდონში) 36 ბანკირმა, როთშილდის მეთაურობით სთხოვა ლორდთა პალატას—ეცადეთ, ახალი არჩევნები დაინიშნოს, რომ ხალხმა თავისი აზრი გამოსთქვას ახალ „რევოლიუციონურ, სოციალისტურ გადასახადებზეო“.

**ინდოეთის გაღვიძება.**

რუსულ ჟურნალ „სოვრემ. მირ“-ში საინტერესო წერილია დაბეჭდილი ინდოეთის გაღვიძებაზე.

ამ დიდებულმა ქვეყანამ, განათლების აკვანმა, ჩვენ თვალ წინ გაიღვიძა და საერთო მსოფლიო ცხოვრების ფერხულში ჩაება. დიდი ეროვნული მოძრაობაა ამ ჟამად ინდოეთში. ისე დღე არ გავა იქა, რომ სადმე შეტაკება არ მოუვიდეთ ინდოელებსა და ინგლისის ჯარის-კაცებს. ინდოელები ცდილობენ განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისგან და კონსტიტუციის მოპოვებას. რითაა გამოწვეული ეს მოძრაობა, რად შეიძულეს ინდოელებმა ინგლისელები? საქმე იმაშია, რომ ინგლისი ინდოეთს ისე არ ექცევა, როგორც თავის სხვა კოლონიებს; იქ როდია დაწესებული ისეთი მმართველობის წესები, როგორც ავსტრალიისა, კანადასა და ტრანსვალში.

— სისხლიდან ვცლით ინდოეთსაო,—წამოიძახა ინგლისელ მინისტრს სალისბერის. ეს იყო 30 წლის წინად, მაგრამ ავტორის აზრით „ინდოეთი ეხლაც სისხლიდან იცლება ინგლისის მახვილისგან“. საშინელი შიმშილობა დრო-გამოშვებით ეწვევა ხოლმე ინდოეთს და იქაური ხალხი მილიონობით იღუპება ამ საზარელ უბედურებისგან. აი ციფრები: 1878 წელს შიმშილისგან დაიღუპა 8 მილიონი სული, 1896 წელს—ამდენივე, ხოლო 1896 წლიდან 1900 წლამდე ინდოეთში შიმშილისგან დაიხოცა 19 მილიონი სული.

ინდოეთს ორი დიდი მტერი ჰყავს: ინგლისის ბიუროკრატია და ინგლისის ფაბრიკა.

დასცეს რა ინდოეთის მრეწველობა, ინგლისელმა მექარხნეებმა იმავე დროს ყოველი ღონე იღონეს, რომ ინდოეთში საკუთარი მსხვილი მრეწველობა არ განვითარებულიყო ევროპიელის მსგავსად. ინდოეთის მრეწველობას განსაკუთრებული გადასახადი დაადვეს. ინგლისის მთავრობა ნებას არ აძლევს, რომ ინდოეთში ტეხნიკური ან სახელოსნო სკოლები გაიხსნას. მთელს უზარმაზარ ინდოეთში არსებობს ერთად ერთი პროფესიონალური სკოლა ბომბეიში.

ინდოეთის მეორე მტერია ინგლისის ბიუროკრატია. ინდოეთის შემოსავლის მესამედი სჭირდება ინგლისელ მოხელეების ჯამაგირს. ინგლისელ გუბერნატორს ინდოეთში წელიწადში ეძლევა 204 ათასი ფრანკი, ხოლო ინდოეთის მთავარმართებელს, ანუ ინგლისის მეფის მოადგილეს—430 ათასი ფრანკი. სულ მცირე ინგლისელი მოხელე 8 ათას ფრანკზე მეტს იღებს წელიწადში. ჯამაგირის გარდა, მოხელეებს საოცრად დიდი პენსიები აქვთ დანიშნული: იმ ინგლისელ მოხელეს, რომელიც 25 წელიწადს იმსახურებს ინდოეთში, სულ მცირედ 25 ათასი ფრანკი ეძლევა ყოველ წელს პენსიად. ნამდვილი ძარცვაა...

ამას გარდა, ინდოეთის ხალხი თავის საკუთარ ხარჯით ინახავს ინგლის-ინდოეთის მრავალ რიცხოვან ჯარს, რომელზედაც თითონ ინგლისი ერთ კაპიკსაც არ ჰხარჯავს. ხოლო როდესაც ინგლისი ომობს სადმე, ინდოელი გლეხები მოვალენი არიან იმის გულისთვის სისხლი დაღვარონ.

ამ ჩაგვრამ და სისხლის წოვამ ფეხზე დააყენა და აჯანყა ინდოელები. ინგლისელებმა ინდოეთში მოსპეს თავისუფლება პრესისა, კავშირებისა და კრებისა და სამხედრო წესები გამოაცხადეს, იქაური ჟურნალისტები საპატიმროში ჩაყარეს.

ხალხმაც თავის მხრივ ტერორით გასცა პასუხი, ბრძოლა თან და თან გამწვავდა... რით გათავდება ეს ბრძოლა,—ძნელი გამოსაცნობია. შესაძლებელია, რომ ინგლისის საუკეთესო კაცების რჩევამ გასჭრას და ინდოეთს მიეცეს ისეთივე უფლება თავისუფალ არსებობისა, როგორიც აქვთ ამ ჟამად ავსტრალიას ტრანსვალს და სხვებს. („ბ.“)

**განცხადება**

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზეპიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აკეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—179

სასახლის ქ., თავად-აზნაურთა სახლში, კერძო სააუქციონო ზალაში
● გ ა ი ხ ს ნ ა
**გამსესხებელი განყოფილება**
მოძრავი ქონების დასაგირავებლად. ოპერაციები ხდება დილის 9-დან შუადღის 12 საათამდე, კვირა-უქმეების გარდა. (5—462—2)

**მე-7** ნაწილში ხოჯივანქის სასაფლაოსთან ძალიან იაფად **იყიდება ცარიელი მიწა,** ზომით ორას ოცი ოთხკუთხი საჟენი, რომელიც ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს. მსურველს ვთხოვ მიმართოს მე-4 ნაწ. გოლოვინის პრ., ხოსროევის სახ., № 14, დუქანში, დიმიტრი ყიფიანს. (1—466—1)

**200 მანეთს საჩუქრად ვაძლევთ 200**
იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ქვემოდ დასახელებული ნივთები არ შეეფერება ჩვენ მიერ დადებულ ფასებს





**მხოლოდ 3 მ. 95 კ. ნაცვლად 12 მანეთ.**
უგზავნით 12 უსაჩიროეს, ფასიან ნივთებს:
1) საათი შავი ფოლადისა, ანკერის ქვებზე, მომართვა უგასაღებოდ 36 საათში ერთხელ; პირობასა ვდებთ, რომ 6 წელიწადს არ წაუხდება; 2) კოსტა მოდის მეწკვი; 3) ასეთივე ბრელოკი; 4) ზამშის ბუდე საათის შესანახად; 5) ტყავის პორტმანე 7 განყოფილებით; 6) კაუჩუკის მტემპელი მეპატრონის სახელით, მამის სახელით და გვარით; 7) მუშა წამალი მტემპელისთვის; 8) ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ნ ი ვ თ ი: ამერიკული უშიშარი სამართებელი „მულკუტა“, რომლითაც ყველას ადვილად შეუძლიანთ წვერის პარსვა; 9) ნიკელის წასასმელი ფერებისა; 10) ნიკელის ფინჯანი; 11) ამერიკული სტერეოსკოპი, რომელშიაც კაცი ყოველგვარ სურათს დაინახავს; 12) 25 ორაგი ფოტოგრაფიული სურათი. ყველა ეს ნივთები მსურველს 3 მ. 95 კ. გაეგზავნება. თუ უხმო დახურული საათიც იქნება—1 მანეთით უფრო ძვირია.
ადრესი: Складъ часовъ Т—во „Универсаль“, Варшава, Холодная, 22. მიწერმოწერა რუსულ ან გერმანულ ენაზე.
(Мотцль и К, N 55955) (3—6.—1)

**თეატრი „ილუზიონი“**
**ს. ო. ივანიცკისა**
**მიხეილის პროსპექტი, ს. გეტცელისა.**
რადგან სინემატოგრაფიულ ლენტების ქირაობის დროს თითონ მე არა ერთხელ მომატყუეს სხვა და სხვა ფირმებმა, განსაკუთრებით როსტოველმა ფირმებმა, ამიტომ საზღვარ-გარეთ ყოფნის დროს ხელშეკრულება დაუდე ფრანგულ საზოგადოებას
**ლენტების გასაქირავებელ კანტორის**
დასაარსებლად იმ აზრით, რომ ღარიბ პროვინციელ პროექტორებს, რომელნიც დიდ ფულს იხდიან ლენტების ქირაობის დროს, შეძლება მიეცეთ მიიღონ სურათები **სულ მცირე ფასებში.** ქირის პირობები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, ეხლა კი, კანტორის გახსნამდე, ცნობების გაგება შეიძლება პირადად ჩემთან. (5—1019—4)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი**
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა.**
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.
ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას); 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.
**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**
**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.
კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.
(20—ხალ.—17)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე,